აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 13

ქ. ბათუმი 6 ივნისი 2004წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, გულნარა ბზიკაძე, ქეთევან ჯიქია, სერგო დუმბაძე, ლევან ჩავლეიშვილი;

აგრეთვე ესწრებოდა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებელი ჯემალ კიკნაძე.

არ ესწრებოდნენ: კომისიის წევრები მამუკა წულუკიძე, სიმონ ჩხაიძე

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ ითხოვა კომისიის სხდომის დღის წესრიგში შესულიყო დადგენილების პროექტი ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების შესახებ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 1 ივნისის №09[1/]2004 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ.

სხდომას შეუერთდა კომისიის წევრი მამუკა წულუკიძე

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამატებული დადგენილების პროექტთან ერთად დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-8
წინააღმდეგი-0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია ,,ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაციის" რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის შესახებ;

2. განკარგულება
ქობულეთის №81/3 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატ, გურამ გოგიტიძისათვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე;

3. სხვადასხვა

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია "ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაციის'' რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის შესახებ;

მოისმინეს: განკარგულების პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია ,,ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაციის" რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის შესახებ წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ. მან აღნიშნა, რომ ,,ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია" რეგისტრირებულია 2003 წელს.

აზრი გამოთქვეს: წამოყენებულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა იურიდიული სამსახურის სპეციალისტმა კახა კახიძემ, რომელმაც განმარტა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" 72-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 2 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი კავშირი (ასოციაცია)ფონდი, რომლის წესდება ან დებულება რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებების დაცვას. გ. დუაძემ, ს. დუმბაძემ აღნიშნეს, რომ დავუშვათ გამონაკლისი გავატაროთ რეგისტრაციაში ასოციაცია.

კომისიის წევრმა გ. მჭედლიძემ აღნიშნა, რომ ასეთი პრეცენდენტის დაშვება არ შეიძლება, ვინაიდან სხვა

ახალგაზრდული ორგანიზაციების მომართვის შემთხვევაში, იძულებული ვიქნებით ისინიც გავატაროთ რეგისტრაციაში.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კენჭიყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების წარმოდგენილი პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია "ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია"-სთვის რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის შესახებ.

კენჭიყრის შედეგები: მომხრე-4
წინააღმდეგი-4
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი)

კანონის შესაბამისად, ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. ვინაიდან აღნიშნული საკითხის კენჭიყრის დროს თავმჯდომარემ მისცა ხმა დადგენილების პროექტის მიღებას, იგი ჩაითვალა კომისიის მიერ მიღებულად.

2. განკარგულება
ქობულეთის №81/3 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატ, გურამ გოგიტიძისათვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე;

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ქობულეთის №81/3 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატ, გურამ გოგიტიძისათვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე. მან კომისიის წევრებს წარუდგინა და გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურიდან შემოსული წარდგინება იმუნიტეტის მოხსნასთან დაკავშირებით (ი. ფაღავამ ტექსტი წაიკითხა მთლიანად. გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის გ. გოგიტიძის მიმართ დაპატიმრების ღონისძიების გამოყენების თაობაზე-ნათქვამი იყო მომართვაში).

აზრი გამოთქვეს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომელმა ჯემალ კიკნაძემ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმე აღძრულია 2003 წლის აგვისტოში. გამოძიების პროცესში აღმოჩნდა, რომ საბიუჯეტო სახსრები მიიმართა არამიზნობრივად. მას წარედგინა ბრალი 332-ე მუხლის ,,ა" პუნქტის საფუძველზე. ჯ. კიკნაძის თქმით, გ. გოგიტიძემ აღიარებს აღნიშნულ ფაქტს და მას 2003 წელს ჰქონდა ჩამორთმეული გაუსვლელობის ხელწერილი (არამიზნობრივად

გახარჯული თანხა შეადგენს 300 000-დან 400 000 ლარამდე). ახლახან პროკურატურაში შემოვიდა სხვა მასალებიც მის ბრალეულობაზე, თუმცა ამჟამად გამოძიების პროცესიდან გამომდინარე, თავს შევიკავებ მის საჯაროდ გამოტანაზე. გ. გოგიტიძე თავს არიდებს პროკურატურაში გამოცხადებას. ვინაიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ის დეპუტატობის კანდიდატია, ჩვენი თხოვნაა მოუხსნათ იმუნიტეტი გ. გოგიტიძეს, რათა გამოყენებული იქნას მის მიმათ აღმკვეთი ღონისძიებების სახით დაპატიმრება.

კომისიის წევრი გულნარა ბზიკაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია, თანხები მოხმარდა ხალხს და თანხა მას არ მიუთვისებია.

კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ დასვა კითხვა არის თუ არა მის ქმედებაში კორუფციული ელემენტები? რაზედაც ჯ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ მისი მოქმედება კანონის ფარგლებს სცილდება და მან თანხები არამიზნობრივად გამოიყენა.

სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი ს. დუმბაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ საქმე აღძრულია აბაშიძის რეჟიმის დროს და სანამ არ დარწმუნდება მის დანაშაულში, ხმას ვერ მისცემს მისი იმუნიტეტის მოხსნაზე.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კენჭიყრაზე დააყენა წინადადება

განკარგულების პროექტს ქობულეთის №81/3 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატ გურამ გოგიტიძისათვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე

კენჭიყრის შედეგები: მომხრე-3
წინააღმდეგი-5
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი)

თანხმობა მისცა სამმა წევრმა: ი.ფაღავამ, გ. მჭედლიძემ, ლ. ჩავლეიშვილმა.

წინააღმდეგი წავიდა გ. დუაძე, ს.დუმბაძე, ქ.ჯიქია, გ. ბზიკაძე, მ. წულუკიძე. საკითხი არ გავიდა, პროკურატურას თანხმობა არ მიეცა.

კომისიის თავმჯდომარემ გამოაცხადა 5 წუთიანი შესვენება.

სხდომა განახლდა 17სთ-სა და 15წთ-ზე, სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი.

3. დადგენილება

ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების შესახებ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 1 ივნისის №09[1/]2004 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს:	უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დადგენილების პროექტი ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების შესახებ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 1 ივნისის №09[1/]2004 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ.
აზრი გამოთქვეს:	კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ პროექტის პირველი მუხლის მე-8 პუნქტში "ორი ჯგუფის" ნაცვლად შევიდეს "ჯგუფები", ასევე მე-9 პუნქტში 16 სთ-ის ნაცვლად შევიდეს 18 საათი.
უმაღლესი საარჩევნო	კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.
კენჭისყრის შედეგები:	მომხრე-8 წინააღმდეგი-0 (კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი)

4. სხვადასხვა

მოისმინეს:	კომისიის წევრების ინფორმაცია ოლქებში შექმნილ მდგომარეობებზე, მაჟორიტარი კანდიდატების მიერ საარჩევნო ფონდების გახსნასთან დაკავშირებით მიღებულია ინფორმაციად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

კომისიის თავმჯდომარე	ი. ფაღავა
კომისიის მდივანი	გ. მჭედლიძე